



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 187/ს
28/04/2023

187-21-4-202304281448



**მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე,
წელიწადში 3 000 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით
მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 3 000 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, ზღვის დონიდან 568 მეტრ სიმაღლეზე, შპს „გრინ კროპს დისტრიბუშენის“ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფართობია 0,07 ჰა, ხოლო GPS კოორდინატები: X-463443.673, Y-4644181.989. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 295 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 3 000 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 20 წელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰიდროლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოადგენს დაუნაწევრებელი მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველ კომპლექსს, რომელიც ხასიათდება რთული აგებულებით და შედგება მრავალი წყალშემცველი შრისა და ლინზისაგან. წყალშემცველს

წარმოადგენს კაჭარ-კენჭნარები, ხვინჭკნარი ქვიშიანი და ქვიშა-თიხიანი შემავსებლებით და ქვიშები, ხოლო შედარებით წყალგაუმტარია თიხები, თიხისა და თიხა-თიხნარის შემავსებლიანი კაჭარ-კენჭნარი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ვაკე რელიეფის ტერიტორიაზე, მდ. ქსნის მარცხენა ჭალისზედა I ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. წიაღისეულის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი შესწავლილია ქანდის დაბალი მინერალიზაციის წყლის საბადოს დეტალური ძიების სტადიაზე. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 134 მეტრს. წიაღისეულის ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წელიწადში 3 000 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქიმიური შედგენილობით წყლები ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმ-მაგნიუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა, ცვალებადი სიხისტით. საერთო მინერალიზაცია 1.0 გ/ლ-მდეა. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 13-14°C-ს და მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს ყელის 1 მეტრ რადიუსზე დაბეტონებას, თავმორთულობის მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას, რის შემდგომაც ჭაბურღილიდან წყლის მოპოვება დასაშვებია. ვინაიდან სალიცენზიო ობიექტი წარმოადგენს არსებულ ჭაბურღილს, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის

ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 3 000 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაეკემდება** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო